# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 7 ნოემბერი 2005 №256 (2579) ფასი 50 თეთრი

# გაპარტყით სუდიას!

## 2:2:022 ქუთაისში მსაჯებისთვის პატრული ნატრულია



# იბერიამ იბერიამდე იბერიაში ჩაჰყვინთა



## საპრეზიდენტო მედალი მუჰამედ ალისთვის

## უდიადესი ალის ბოლო თვეები

8



კვირას თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე საინტერესო სარაგბო მატჩისთვის განწყობილებს კოვზი ნაცარში ჩაგვივარდა. ბორჯღალოსნებთან სამატჩოდ ურუგვაელთა ნაკრები ავიაკომპანია „იბერიამ“ მონტევიდეოდან მადრიდის გავლით იბერიაში ველარ ჩამოგვიყვანა. ეს შეფერხება ურუგვაელთა წისქვილზე უფრო ასხამს წყალს, დაწვრილებით კი იხილეთ მეექვსე გვერდზე

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
გენერალური სპონსორი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა — პირველი წრე 12 ტური



ბოლნისელებმა ბორჯომელებს საინვესტიციო გოლი გაუტანეს

# ბოლნისში უკვე ოცნებობენ: მალე ფული გვექნება და... ქასრაშვილი გადარჩა

ბოლნისი. 5 ნოემბერი. 14 საათი. თამაზ სტეფანია. 500 (ტევადობა 4 500)

## სიონი 1:0 ბორჯომი

| | |
|---|---|
| 1:0 დვალი (12) | |
| სიონი: ბობლიაშვილი, კობაური, დ. სვანიძე, ჩიკვილაძე, ლ. მერებაშვილი, ლ. ხმალაძე, გ. დოლიძე, დ. ბოლქვაძე, ქუცურუა, დვალი, ბაჯელიძე (ოქროპირიძე 60) *სათადარიგონი:* გავაშელი; რაქვიაშვილი, ავალიანი, ქარდავა, ტატიშვილი, კვიტაიშვილი მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი | ბორჯომი: მამალაძე, ა. ბურნაძე, მესხი, ლ. ჭელიძე, გვირჯიშვილი, ბაქრაძე, მემარნიშვილი, გაბისკირია, შ. ჯიქია (გ. ქორიძე 65), აფციაური, რ. გეწაძე *სათადარიგონი:* მამარდაშვილი; მიქიაშვილი, ნასყიდაშვილი, გოგიჩაიშვილი, მაჭავარიანი მწვრთნელი: სოსო ფრუიძე |
| გაფრთხილება: აფციაური (48), ხმალაძე (51), ქუცურუა (53), აფციაური (56), ბოლქვაძე (56), ბობლიაშვილი (77), კობაური (78), ჩიკვილაძე (89) | |
| გაძევება: აფციაური (56) | |
| მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, მ. ელიკაშვილი (სამივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი) | |
| ინსპექტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: ს. კოტრიკაძე | |

**კობა ინასარიძე ბოლნისიდან**

**ბოლნისის „სიონმა“** კლუბის ახალი პატრონების თვალწინ შაბათს პირველად ითამაშა და ისე დამაჯერებლად მოიგო, უფროსობას მადლობაც კი ათქმევინა და გუნდში დიდი ინვესტიციის ჩადებით კიდევ უფრო დააინტერესა. ბოლნისში ახლა ამბობენ, მალე „სიონი“ საქართველოში ყველაზე მდიდარი კლუბი იქნებაო და თქვალ წარმოიდგინეთ, როცა ამგვარი პერსპექტივა ჩანს, „სიონი“ კონკურენტ „ბორჯომს“ როგორი განწყობით დაუხვდებოდა. მით უმეტეს, რომ „ბორჯომთან“ მატჩის წინ პრობლემები ჰქონდა მასპინძელთა თავკაც ხვიჩა ქასრაშვილს — წარუმატებლობა მისთვის გუნდის დატოვების ტოლფასი იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, კულუარებში ბევრს ლაპარაკობდნენ, შესაძლოა, დღეს ქასრაშვილისთვის ბოლო ბოლნისური მატჩიაო. ვერ გეტყვით, „სიონის“ უფროსობა ახლა რას ფიქრობს, „ბორჯომის“ დამარცხებაში კი უდიდესი წილი სწორედ ხვიჩა ქასრაშვილისა იყო და ამ სამი ქულის შემდეგ მისი გათავისუფლების საკითხი დღის წესრიგიდან, ალბათ, მოიხსნა კიდეც.

მოკლედ, „სიონმა“ პრინციპული მატჩი მოიგო და ეს ისე გააკეთა, მეტოქეს მინდია ბობლიაშვილის კარისკენ ხეირიანად არც დაარტყმევინა. თავის მხრივ კი ბოლნისელებმა იმდენი სახიფათო მომენტი შექმნეს, ყველას ჩამოთვლა-აღწერა ძნელი საქმე იქნება. „სიონს“ განსაკუთრებით მაშინ გაეხსნა ხელ-ფეხი, როცა კაცნაკლულად დარჩენილმა „ბორჯომმა“ მატჩის ბოლოსკენ ზურგი მოიშიშვლა და ანგარიშის გასათანაბრებლად გაიწია. რამდენჯერმე ისეთი სიტუაციაც შეიქმნა, მასპინძელთა შემტევები ორი მცველის წინააღმდეგ რომ დარჩნენ, მაგრამ ზედმეტად მოინდომეს, გოლის გატანა იჩქარეს და თამაშგარე მდგომარეობაშიც აღმოჩნდნენ. თუ თამაშგარე არ იყო და, მაშინ თავად გაუცუდდათ დარტყმები, ორ-სამჯერ კი ზურაბ მამალაძემაც იყოჩაღა.

გასაკეთებელი „სიონმა“ მატჩის დასაწყისშივე გააკეთა: მარცხენა ფლანგიდან გიორგი ქუცურუას ჩაწოდებულ ბურთს მცველებისგან უყურადღებოდ მიტოვებული ჯაბა დვალი თავით შესწვდა და მეკარისგან შორეულ კუთხეში ისე ეფექტურად დაარტყა, ქომაგობამ გოლი თავიდან არცკი დაიჯერა. „ბორჯომს“ გათანაბრება მაშინვე შეეძლო — თორნიკე აფციაურმა ჯარიმიდან დაურტყა ბობლიაშვილს, მაგრამ ბურთი ხარიხას გადასცდა.

„სიონს“ გოლმა თავდაჯერება შემატა და სტუმრებსაც მწვავედ შეუტია. დვალს ერთხელაც შეეძლო გატანა, თუმცა ტალახიანი მოედნიდან ასხლეტილ ბურთს ფეხი დროულად ველარ დაუხვედრა. მერე „ბორჯომის“ ცენტრალურ მცველს სანდრო ბურნაძეს აეჭრა ბურთი თავიდან და რომ არა ძელთან მდგომი რევაზ გეწაძე, „სიონი“ უფრო დაწინაურდებოდა, მერე ერთი ლევან ხმალაძემაც დაარტყა...

შესვენების შემდეგ „ბორჯომი“ საგრძნობლად გააქტიურდა. სტუმრებმა ტემპს და აგრესიას უმატეს, მაგრამ წვიმისგან გაუვარგისებულ მოედანზე კარგად თამაში არ გამოსდიოდათ, თანაც „სიონის“ მცველები, ფაქტობრივად, უშეცდომოდ აზღვევდნენ ერთმანეთს. ბოლნისელებს ყველა ზონა საიმედოდ ჰქონდათ გადაკეტილი და ბორჯომელთა შეტევებს საჯარიმოს მისადგომებთან აჩერებდნენ. სამაგიეროდ კი, „სიონმა“ კონტრშეტევებზე ააწყო თამაში და, როგორც ვთქვით, მიზანთანაც რამდენჯერმე ძალიან ახლოს იყო. უხეშობისთვის აფციაურის გაძევების შემდეგ ბოლნისელებს თამაში უფრო გაუიოლდათ, ხვიჩა ქასრაშვილმა მოედნის ცენტრი გააძლიერა და მატჩის მოგებაც შეძლო. წინა ტურში „სიონი“ ასევე კაცნაკლულ „ვიტ ჯორჯიას“ უგებდა და საბოლოოდ წაგებული დარჩა. ამ ამბავს კი ბოლნისელი ქომაგობა მატჩის ბოლოსკენ მალიმალ იხსენებდა, ემანდ იგივე არ მოხდესო... მათ გასახარად, „სიონმა“ მოპოვებული უპირატესობა შეინარჩუნა.

### პრესკონფერენცია

*სოსო ფრუიძე:* ძალიან რთული თამაში იყო. ტექნიკური და კომბინაციური ფეხბურთი ცუდ მოედანზე არ გამოგვივიდა. არადა „სიონსაც“ და ჩვენც ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელები გვყავს. ვულოცავ „სიონს“ მოგებას.

*ხვიჩა ქასრაშვილი:* მადლობა „სიონის“ ფეხბურთელებს ბრძოლისა და კარგი თამაშისთვის. „ბორჯომის“ და „სიონი“ მეტ-ნაკლებად ერთი დონის გუნდებია და ერთი-ორად სასიხარულოა, როცა ასეთ მეტოქეს დამსახურებულად დაამარცხებ, თანაც პრინციპულ შეხვედრაში.

# გადამალებინეთ! მაგარი ვიდეო: საჯარიმოში შეიჭრა... ოპერატორი

ფოთი. 5 ნოემბერი. 14 საათი. ფაზისი. 300 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 2:1 თბილისი

| | |
|---|---|
| 1:0 შალამბერიძე (13), 2:0 კრასოვსკი (67), 2:1 ფოფხაძე (88პ) | |
| კოლხეთი: ლატარია, თურქია (გოგენია 17), ჯ. შალამბერიძე (გოჩალეიშვილი 67), ფარულავა, ყურაშვილი, ქუტიძე, ე. მარგალიტაძე, კრასოვსკი, ნიქარიშვილი (ზ. რაზმაძე 46), ზ. ჯანაშია, ზ. ქუთათელაძე *სათადარიგონი:* ბათიაშვილი; დ. ნარსია, სამსეიშვილი, გ. კილასონია მწვრთნელი: სოსო ფილია | თბილისი: რ. თევდორაძე, ჩაგელიშვილი (მიმინოშვილი 67), ი. ვაშაკიძე, ხოხონიშვილი, გ. ფოფხაძე, როსტომაშვილი, ქორიძე, ლილუაშვილი (გოგოხია 75), თოფურია, კვასხვაძე (ფირანიშვილი 77), ვ. კვარაცხელია *სათადარიგონი:* ა. ალავიძე; რევაზ ბარაბაძე, გიორგი იაშვილი, გ. ჯანაშია მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი |
| გაფრთხილება: ხოხონიშვილი (1), შალამბერიძე (39), ყურაშვილი (61), ხოხონიშვილი (69), მიმინოშვილი (80) | |
| გაძევება: ხოხონიშვილი (69) | |
| მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), დ. ხარიტონაშვილი (თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი) | |
| ინსპექტორი: რ. ტალიაშვილი; დირექტორი: ა. კაჭახიძე | |

**გოჩა ჯანაშია ფოთიდან**

**ფოთის** „კოლხეთმა“ შაბათს მორიგი საშინაო მოგებით გაიხარა. სხვაობა ოდენ ის იყო, რომ აქამდე მოგებულ ყველა მატჩში გამტანი ზვიად ქუთათელაძე ამჯერად უგოლოდ დარჩა. „თბილისი“ კი ისევ უქულოდაა, ოღონდ გიორგი დევდარიანის ბიჭები თანდათან უმატებენ, რისი დასტური ეს მატჩიც გამოდგა, რომელიც მათთვის სავალალოდ დაიწყო.

კოლხთა პირველივე შეტევას გიორგი კრასოვსკის საჯარიმოში წაქცევა და პენალტი მოჰყვა. არბიტრ მალხაზ მაისურაძის გადაწყვეტილებას თბილისელთა პროტესტი მოჰყვა და სანამ მსაჯი „პროტესტანტებს“ ამშვიდებდა, სად იყო და სად არა, მოედანზე ერთ-ერთი ტელეკომპანიის ოპერატორი შეიჭრა შტატივიანი კამერით „შეიარაღებული“ და საჯარიმოში შესულმა პენალტის უკეთ გადასაღებად ადგილის შერჩევა დაიწყო. გაოცებულმა თანამსაჯმა პაატა დოგრაშვილმა, „ძალიან ცნობისმოყვარე“ ოპერატორი მოედნიდან მიაბრძანა.

გამხიარულებული ტრიბუნები ჯონი შალამბერიძემაც გაახარა — უნაკლოდ შეასრულა პენალტი.

თბილისელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ გოლმა ისინი არ დააბნია, ამის შემდეგ შესვენებამდე მოედანზე ისინი დომინირებდნენ და კოლხები გოლს არაერთხელ გადაურჩნენ. გამოსარჩევი იყო ეპიზოდი 32-ე წუთზე, როცა ახალბედა ნიკა კვასხვაძემ უალრესად ხელსაყრელი პოზიციიდან დარტყმაც შეაგვიანა, პასიც და მეკარემ და მცველმა სიტუაციის განმუხტვა მოახერხეს.

სოსო ფილიამ ადრეული შეცვლით სცადა თამაშის შემობრუნება, მაგრამ ამით დიდი ვერაფერი შეცვალა. განსაკუთრებით დაცვის ფლანგებზე იგრძნობოდა კოლხთა სისუსტე, ძირითადად სწორედ აქედან იქმნებოდა ხიფათი მათ კართან.

მეორე ტაიმი ისევ სტუმართა მწვავე იერიშით დაიწყო და იმავ კვასხვაძეს მართებდა გატანა, თუმც იყოჩაღა ლევან ლატარიამ, რომელმაც კარი დროულად დატოვა და ფეხებში ვარდნით დაასწრო მომხდურს.

ამ ეპიზოდმა „კოლხეთი“ გამოაფხიზლა და უკეთ აათამაშა. საფრთხილეც არ აკლდათ მასპინძლებს, მაგრამ იგრძნობოდა, რომ უპირატესობა უკვე მათ ხელში იყო. მოვლენების ასეთ განვითარებას ლოგიკური ბოლო მეორე ტაიმის შუაწელში მოჰყვა: ბოლო ხანს გატანას დაჩვეულმა კრასოვსკიმ საჯარიმოს წინა ხაზიდან ცხრიანში ჩასვა ბურთი და მატჩის ბედიც სწორედ აქ გადაწყდა.

დარჩენილ დროში ორ ამბავს გამოვარჩევდით — ჯერ ხოხონიშვილის გაძევებას, რომელმაც პირველივე წუთზე მიღებულ ყვითელ ბარათს ჯანაშიას მაისურზე დაქაჩვისთვის მეორეც შემატა და კიდევ ერთ პენალტს, ოღონდ მასპინძელთა კარში, თუმცა გიორგი ფოფხაძის გატანილს თამაშის გადასარჩენად გვიანი ეთქმოდა.

### პრესკონფერენცია

*გიორგი დევდარიანი:* ვულოცავ „კოლხეთს“, მოსაგები თამაში მოიგო. წაგებული მატჩის შემდეგ კმაყოფილი როგორ უნდა ვიყო, მაგრამ დღეს დავინახე, რომ ჩემი გუნდი პროგრესს განიცდის. ამდენი საგოლე მომენტი აქამდე არ გვქონია, ადრე კარშიც ვერ ვურტყამდით. დღეს ოთხი-ხუთი შანსი გვქონდა და შეიძლებოდა, მატჩი სხვა შედეგით დასრულებულიყო.

*სოსო ფილია:* დღეს ჩემმა გუნდმა ცუდად ითამაშა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. მეტოქემ მოძრაობაშიც გვაჯობა და თამაშის ხარისხითაც. საშემსრულებლო ოსტატობა და კლასი არ ეყოთ და ამან გადაგვარჩინა. უფრო გამოცდილი გუნდი ამას არ გვაპატიებდა. როგორც ჩანს, ბიჭები ფსიქოლოგიურად ვერ განეწყვნენ აუტსაიდერთან მატჩისთვის. ახლა ჩვენთვის მთავარი ქულებია და მოგებით, რა თქმა უნდა, კმაყოფილები ვართ.

გენერალური სპონსორი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — პირველი წრე 12 ტური

ქუთაისი. 5 ნოემბერი. 14 საათი. ტორპედო. 5 000 (ტევადობა 20 000)

## ტორპედო 2:2 ვიტ ჯორჯია

1:0 ფოფხაძე (16), 1:1 დათუნაიშვილი (25), 2:1 შალამბერიძე (49), 2:2 დილმელაშვილი (76)

| ტორპედო | ვიტ ჯორჯია |
|---|---|
| ტორპედო: რევიშვილი, ლაღაძე, რატი ბარაბაძე, მაღლაკელიძე, ზ. ჩხეტიანი, დოლონაძე (ძოძუაშვილი 58), მ. ლონლაძე, კ. სვანიძე (ბურჯანაძე 63), ორმოცაძე, ა. ფოფხაძე, კ. შალამბერიძე (ტეხოვი 72) სათადარიგონი: მიგინეიშვილი; ფესტვენიძე, მდივნიშვილი, ა. კვერნაძე მწვრთნელი: რევაზ ბურკაძე | ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, აბშილავა (ჯაფარიძე 83), თ. კობიაშვილი, დ. ლომაია, ო. გველესიანი, ფეიქრიშვილი, დილმელაშვილი, გ. დათუნაიშვილი, ზ. სახოკია (ლ. რაზმაძე 77), ნ. გელაშვილი, მარცვალაძე სათადარიგონი: მუჯრიშვილი; ქუხილავა, ა. კვახაძე, ებანოიძე, გ. მელქაძე მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე |

გაფრთხილება: ჩხეტიანი (13), სახოკია (17), კობიაშვილი (36), შალამბერიძე (49), ბარაბაძე (75), გველესიანი (84)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. ნონიკაშვილი (თბილისი)

ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი; დირექტორი: ო. რუხაძე



მალხაზ ქოთოლაშვილი ქუთაისიდან

# სუდია? ცუდია!

## თამაშის მაყურებელმა მსაჯები დააჯარიმა

**ზაზა ცინცაძე** ქუთაისიდან

**მეცამეტე** ადგილზე მყოფი „ტორპედო“ პირველადგილოსან „ვიტ ჯორჯიას“ მასპინძლობდა და რა გასაკვირია, რომ ფავორიტად სტუმრები ითვლებოდნენ, მით უმეტეს, ვიტელებს მიჯრით რვა მატჩი ჰქონდათ მოგებული.

ქუთათურებმა კი ერთხელაც დაამტკიცეს, რომ ქუთაისში იოლი გასეირნება არავის ელის, ისინი ორჯერ დაწინაურდნენ და გამარჯვებასთანაც ახლოს იყვნენ, თუმცა თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე დანიშნულმა პენალტმა მასპინძლებს ოდენ ქულა მოუტანა.

ტორპედომ პირველი ტაიმი აქტიურად დაიწყო და ბლომად მომენტებიც შექმნა. მე-14 წუთზე ფოფხაძემ კობა შალამბერიძეს გადააწოდა, მან საჯარიმოში მყოფ მამუკა ლონლაძეს დაუგორა ბურთი, თუმცა მცველებმა დაასწრეს და ხიფათი აირიდეს.

ზუსტად ორ წუთში ფოფხაძე დრიბლინგით შეიჭრა სტუმართა საჯარიმოში და ბურთი ბედიაშვილის კარის ბადეში ააფართხალა.

ვიტელებმა გასათანაბრებლად გაიწიეს. ნიკა გელაშვილის დარტყმული დიდი გაჭირვებით მოიგერია რევიშვილმა. კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი მასპინძლებმა უხეიროდ მოიგერიეს, გიორგი დათუნაიშვილმა ისარგებლა მცველების უყურადღებობით და ანგარიში გაათანაბრა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე მასპინძლები კვლავ დაწინაურდნენ — ავთანდილ ფოფხაძემ სახიფათოდ ჩააწოდა სტუმართა საჯარიმოში, ძნელი სათქმელია, მამუკა ლონლაძემ ბურთი გაატარა თუ ფეხი აარიდა, კობა შალამბერიძემ კი იმარჯვა და თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა 2:1.

75-ე წუთზე არბიტრმა ალექსანდრე კრიჭაშვილმა „ტორპედოს“ საჯარიმოში წესების დარღვევა დააფიქსირა და მასპინძელთა კარში პენალტი დანიშნა. ვიტელთა კაპიტანმა დავით დილმელაშვილმა ანგარიში კვლავ გაათანაბრა.

ამ პენალტმა გულშემატკივრების აღშფოთება გამოიწვია, რაც შემდეგ სერიოზულ ექსცესში გადაიზარდა — მათი აზრით, თამაშის წესები არ დარღვეულა.

„ტორპედომ“ მატჩი ათი კაცით ჩაამთავრა — თამაშის მიწურულს მიხეილ ტეხოვმა ტრავმა მიიღო და მინდორი დატოვა, შეცვლების ლიმიტი კი ამოწურული იყო.

მსაჯის მიერ დამატებულ დროში ვიტელებს გატანა შეეძლოთ — ჯერ გიორგი ფეიქრიშვილის დარტყმა მოიგერია ნუკრი რევიშვილმა, შემდეგ თენგიზ კობიაშვილმა ვერ გაისწორა მიზანი.

თამაშის დამთავრების შემდეგ მსაჯთა ბრიგადა დაახლოებით 20 წუთი ვერ ტოვებდა მინდორს — გულშემატკივართა მთავარი სამიზნე ალექსანდრე კრიჭაშვილი იყო, მსაჯების მიმართულებით მაყურებელი სხვადასხვა საგნებს ისროდა, შემდეგ საქმეში პატრული ჩაერია და მსაჯებს სტადიონი მშვიდობიანად დაატოვებინეს.

### პრესკონფერენცია

*ნესტორ მუმლაძე:* თამაში სანახაობრივი გამოდგა. ჩემი ფეხბურთელების თამაშით უკმაყოფილო არა ვარ, თუმცა პატარა შეცდომები მაინც იყო. „ტორპედომ“ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია და მოგებასთანაც ახლოს იყო.

*რევაზ ბურკაძე:* „ვიტ ჯორჯია“ მობილური და სწრაფი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. ორმაგად სასიხარულოა, რომ ასეთ გუნდთან ფრეს მივაღწიეთ და მოგებასთანაც ახლოს ვიყავით. რაც შეეხება პენალტის დანიშვნა-არდანიშვნას, მსაჯობაზე კომენტარი არ მჩვევია.

ბათუმი. 5 ნოემბერი. 14 საათი. დინამო. 1 500 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 2:2 ზესტაფონი

1:0 ჯელაძე (40), 1:1 იმედაძე (52), 1:2 იონანიძე (79), 2:2 მიქაძე (85)

| ბათუმი | ზესტაფონი |
|---|---|
| ბათუმი: თოთლაძე, ი. მახარაძე, სიდამონიძე, გუშარაშვილი, ბეგლარ თედორაძე, ექონია (დარჩიძე 87), გ. მანწკავა (გალოგრე 90), გოგიშვილი, გ. ჯელაძე, გ. მიქაძე, ზირაქიშვილი სათადარიგონი: ი. ბალაძე; ბესიკ თედორაძე, ცანავა, ნაჭყებია, ფარტენაძე მწვრთნელი: ოთარ გაბელია | ზესტაფონი: ქვაჩახია, იონანიძე, შ. ლონლაძე, ს. თოდუა, იმედაძე (გოგი ფიფია 85), განუგრავა, ბ. გოცირიძე (ბესარაშვილი 40), ძამსაშვილი, ბ. ნოზაძე, კ. ჩხეტიანი, გ. თურმანიძე (ნუდნი 77) სათადარიგონი: ბზიკაძე, სულაკაძე, რ. კვერნაძე, ივანიშვილი მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი |

გაფრთხილება: მიქაძე (29), ძამსაშვილი (32)

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), კ. გაბრიაძე; გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი)

ინსპექტორი: ს. კვარაცხელია

# წვიმა და თამაში გვარიანი

## დუელი სანაკრებო დონეზე

**გიორგი მურვანიძე** ბათუმიდან

**ავდრისა** და სველი გრუნტის მიუხედავად თამაში დაძაბული და სანახაობრივი გამოდგა. ბურთის ფლობაში უპირატესობა „ზესტაფონს“ ჰქონდა, „ბათუმმა“ კი ამ სეზონში საუკეთესო საშინაო მატჩი ჩაატარა.

„ზესტაფონს“ ყველა წამყვანი მოთამაშე მოედანზე ჰყავდა, „ბათუმს“ კი დაშავებული კაკალაძე აკლდა, მცველები ექონია და გუშარაშვილი კი სიცხიანები თამაშობდნენ.

პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს. ჩხეტიანმა მარცხენა ფრთიდან ჩააწოდა, გოცირიძემ მცველებს აჯობა და მისი დარტყმული მცირე მანძილით აცდა კარს.

„ბათუმმა“ ამას შედეგიანი კონტრშეტევით უპასუხა. ჯელაძემ მეტოქეს თავით აართვა ბურთი, მარცხენა ფლანგზე გაიჭრა, ცრუ მოძრაობით ორი მცველი ჩამოიშორა და უძლიერესად დაარტყა — 1:0.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, ზესტაფონელებმა ანგარიში რომ გაათანაბრეს. ჩხეტიანმა მეკარის საჯარიმოში ჩააგდო ბურთი, იქ კი იმედაძემ აჯობა მცველებს და ყველაფერი თავიდან დაიწყო — 1:1.

შეხვედრა ცვალებადი უპირატესობით გაგრძელდა და 79-ე წუთზე იონანიძემ ჟორჟიკაშვილის შეგირდები დააწინაურა.

„ბათუმს“ წონასწორობის აღსადგენად ხუთიოდე წუთი დასჭირდა. გოლი ისევ ჯელაძის აქტიურობას მოჰყვა. მასპინძელთა ნახევარმცველმა მეტოქის საჯარიმოში მყოფ მიქაძეს ბურთი თავზე დაასვა, ვისი დარტყმულიც ქვაჩახიას ფეხებში გაუძვრა — 2:2.

მატჩის დასრულებამდე ორივე გუნდს შეეძლო გადამწყვეტი ბურთის გატანა. „ბათუმმა“ გოლიც გაიტანა, მაგრამ არ ჩაითვალა, მსაჯებმა, თამაშგარე იყოო.

### პრესკონფერენცია

*კობა ჟორჟიკაშვილი:* მოგებაც შეიძლებოდა და წაგებაც. თამაშით კმაყოფილი ვარ. ახალგაზრდულ ნაკრებში მე და ბატონი ოთარი ერთად ვმუშაობთ. ვიცი მისი შეხედულებები და ამდენად საინტერესო იყო მასთან დაპირისპირება.

*ოთარ გაბელია:* ექონიას და გუშარაშვილს სიცხე აწუხებდათ, კაკალაძე ტრავმის გამო გვაკლდა, მიუხედავად ამისა, კარგი თამაში გამოდგა. მეორე გოლი აშკარა თამაშგარედან გავუშვით. მსაჯებიც ხშირად ცდებოდნენ. ჩვენ ყველა ფეხბურთელს ვსინჯავთ და შესვენების შემდეგ გადავწყვეტთ, ვინ დავიტოვოთ და ვინ დავიმატოთ.

## თქვენი ინტერვიუ

## ნოდარ ახალკაცთან

*რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი იქნება.*

*კითხვები 8 ნოემბრამდე მოგვაწოდეთ და პრეზიდენტთან თქვენს ინტერვიუს არაუგვიანეს 11 ნოემბრამდე გამოვაქვეყნებთ. ერთი სიტყვით, იაქტიურეთ.*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net



კოკა-კოლა
გენერალური სპონსორი
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — პირველი წრე — 12 ტური

თბილისი. 5 ნოემბერი. 15 საათი. ამერი. 500 (ტევადობა 900)

## ამერი 1:0 სპარტაკი

| | |
|---|---|
| 1:0 დავითაშვილი (43) | |
| ამერი: ლ. ნადირაშვილი, გ. კვახაძე, დავითნიძე, ხვადაგიანი, კედელაშვილი (ბერიანიძე 20), დობროვოლსკი, კოშკაძე, დეკანოსიძე, ა. კაიდარაშვილი (გ. ჩხეტიანი 73), სევასტოპულო (ტატანაშვილი 64), ს. დავითაშვილი<br>სათადარიგონი: ნაჭყებია; ნიკოლაიშვილი, დარსანია, ბჟალავა<br>მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე | სპარტაკი: ლაძაძე, თ. მჭედლიშვილი, ჯანგიძე (ტაბიძე 86), ელიზბარაშვილი, ა. იმნაიშვილი, კოტრიკაძე (კობალაძე 82), მალიჩავა, ქოქიაშვილი, ხუბუა, მაღლაფერიძე (ს. ურუშაძე 76), ლუჟაშვილი<br>სათადარიგონი: ჩაფიძე; თ. დემეტრაძე, დ. ფიფია, ა. დანელია<br>მწვრთნელი: გიგლა იმნაძე |
| გაფრთხილება: ელიზბარაშვილი (6), ქოქიაშვილი (22), სევასტოპულო (55) | |
| მსაჯები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. დოგრაშვილი (ქუთაისი), დ. კურტანიძე (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი) | |
| ინსპექტორი: უ. ფურცელაძე | |

# ტრადიციონალისტები 1:0 და მისი ჟანი?

კოტე კეკელია

**გლდანში**, „ამერის" სტადიონზე მისულ გულშემატკივრებს ის აინტერესებდათ, „ამერი" რა ანგარიშით მოიგებდა, თორემ მატჩისწინა პროგნოზები იმგვარი გახლდათ, „სპარტაკი" გლდნიდან ქულების წამღები არავის ეგონა.

საბოლოოდ კი რა მოხდა — გულშემატკივარს პროგნოზში გაუმართლა და არც გაუმართლა. „ამერმა" კი მოიგო, მაგრამ ხალხი მეტ გოლს ელოდა და არა იმას, ბოლო წუთამდე ნერვიულობა თუ მოუხდებოდა.

ისე კი, ტრადიციები არ დარღვეულა: ლადო ნადირაშვილმა ისევ მშრალად შეინახა კარი, რაც უკვე ოთხი თამაში გრძელდება; „ამერმა" ამ სეზონში მეექვსე 1:0 ითამაშა, „სპარტაკმა" კი სტუმრად ჩატარებული მეშვიდე თამაშიც წააგო და ამ შვიდ თამაშში ერთი გოლიც ვერ გაიტანა. ამ ცნობების ამოკითხვა, ასევე ტრადიციულად, ამერელთა მიერ დაბეჭდილ მატჩის პროგრამაში შეგეძლოთ.

თამაში მასპინძლებისა იყო, რომლებიც ბევრს უტევდნენ და საგოლე პოზიციებზეც გადიოდნენ, მაგრამ კარისთვის დამიზნება უჭირდათ. რომელი ერთი ასეთი ეპიზოდი გავიხსენოთ. აი, თუნდაც ეს: ალექსანდრე კოშკაძემ ფლანგიდან კარის გასწვრივ ჩააწოდა. სულიკო დავითაშვილს ბურთისთვის ფეხის მირტყმალა სჭირდებოდა, მაგ-



გელა კოპილაძის ფოტო

სულიკო დავითაშვილის სამქულიანი დარტყმა



გელა კოპილაძის ფოტო

ვახტანგ ხვადაგიანმა (№24) „ამერს" მოგება გადაურჩინა

რამ ნაწვიმარზე მოსრიალდა. „აბრეზას" გვერდით მყოფმა კაიდარაშვილმა კი მეკარის ბაქნიდან კარს ააცილა.

სველმა მინდორმა თავისი საქმე საპირისპირო კართანაც გააკეთა — დენის დობროვოლსკის ფეხი დაუცდა და სპარტაკელი ვასილ ლუჟაშვილი მეკარე ლადო ნადირაშვილს შეატოვა. ორთაბრძოლა მასპინძელთა მეკარის გამარჯვებით დასრულდა.

საერთოდაც, ნადირაშვილი საუკეთესოთაგანი გახლდათ მოედანზე და ნახსენები ეპიზოდის გარდა კიდევ ისახელა თავი — დავით სევასტოპულოს ავტოგოლის გატანა არ დაანება. სპარტაკელებმა კუთხური ჩააწოდეს და მცველთა დასახმარებლად ჩასულმა თავდამსხმელმა კინაღამ საკუთარ კარში გაიტანა.

ეს პირველი ტაიმის ბოლო წუთზე მოხდა, იქამდე ორი წუთით ადრე კი „ამერმა" გამარჯვების გოლი შეაგდო. კოშკაძის წამოწყებული იერიში სევასტოპულომ გააგრძელა და დავითაშვილმა გოლით დაასრულა.

საპირველტაიმო ამბებიდან ერთ უსიამოვნო ეპიზოდსაც გავიხსენებთ: თორნიკე ელიზბარაშვილმა ამირან კედელაშვილი ისე მოცელა, რომ თავად „გაყვითლდა", ამერელმა მცველმა კი ფეხმტკივანმა დატოვა მოედანი.

შესვენების მერე, ერთი მხრივ, სტუმართა აგრესიამ იმატა, მეორე მხრივ კი მასპინძელთა შეცდომებმა. თუმცა ამერელებს საუკეთესო მომენტები სწორედ მეორე ტაიმში ჰქონდათ. დავითაშვილმა და კოშკაძემ ბურთი ძელს გაარტყეს, სხვა ეპიზოდში კი დავითაშვილმა მეკარეც მოატყუა, მაგრამ მისი დარტყმული მცველმა თავით გამოიტანა კარიდან.

ბოლოს კი კინაღამ „ვერ გაიტან — გაგიტანენ" პრინციპი ამუშავდა. ამერელთა საჯარიმოში შექმნილი ჩოჩქოლისას, ბურთს ის იყო, კარის ხაზი უნდა გადაეკვეთა, რომ ვახტანგ ხვადაგიანმა იყოჩაღა და თავის გუნდს სამი ქულა შეუნარჩუნა.

გორი. 5 ნოემბერი. 14 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 400 (ტევადობა 8 230)

## დილა 0:2 დინამო

| | |
|---|---|
| 0:1 ნოზაძე (70), 0:2 ბობოხიძე (73) | |
| დილა: თ. ილურიძე, რ. ხაჭაპურიძე, ქარქუზაშვილი, ლ. გოჩაშვილი, რევაზიშვილი (ი. თომაშვილი 78), კ. ხანიშვილი, თაყაძე, კობახიძე, შატაკიშვილი, სულთანიშვილი (მძინარიშვილი 61), ალ. ლაბაძე (გ. ნადირაძე 57)<br>სათადარიგონი: ნასყიდაშვილი; აკოფიანი, მასურაშვილი<br>მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე | დინამო: გრიშიკაშვილი, გიგაური, ქემოკლიძე, ამისულაშვილი, ალადაშვილი, სახვაძე (გ. ჭელიძე 75), ლ. ნოზაძე, გ. მერებაშვილი, ლ. მელქაძე, ბობოხიძე (ჩირიკაშვილი 85), მეგრელაძე<br>სათადარიგონი: სტურუა; ორბელაძე, აკობია, გ. თომაშვილი, დვალიშვილი<br>მწვრთნელი: კახა ცხადაძე |
| გაფრთხილება: კობახიძე (22), ქარქუზაშვილი (42), შატაკიშვილი (45), ბობოხიძე (34), მეგრელაძე (53) | |
| მსაჯები: ლ. სილაგავა (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ა. სამხარაძე (სოხუმი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა) | |
| ინსპექტორი: ა. შალამბერიძე | |

# გორია თუ შდაგნოა გოგის?
## ხმა მღაღადებლისა ვლადიმერისა

ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან

**მატჩის** დაწყებისთანავე ცხადი შეიქნა, რომ „დინამო" მოგებისთვის იბრძოლებდა — თბილისელთა სასტარტო შემადგენლობაში სამი თავდამსხმელი ვიხილეთ.

„დილა" აუღელვებლად დაუხვდა ავტორიტეტული მეტოქის შეტევებს, თუმცა დინამოელთა აქტიურობას უკვე მე-8 წუთზე ხიფათი მოჰყვა — ლაშა ნოზაძის ჯარიმიდან დარტყმული ბურთი თამაზ ილურიძის კარის ხარიხამ აისხლიტა. სტუმართა მობილურმა თამაშმა გორელები აიძულა, საკუთარ ნახევარზე გამაგრებულიყვნენ და ეპიზოდურ კონტრშეტევებზე ეფიქრათ, თუმცა დაახლოებით მე-20 წუთიდან მასპინძლებმა თამაში გაათანაბრეს.

29-ე წუთზე „დინამოს" დაწინაურების შანსი კიდევ მიეცა — გიორგი მერებაშვილი ფლანგიდან შეიჭრა „დილას" საჯარიმოში, მაგრამ არაზუსტად დაარტყა. ტაიმის ბოლოს კი გორელებიც გათამამდნენ: 33-ე წუთზე ქრისტეფორე შატაკიშვილმა ზუსტი პასით მიხეილ თაყაძე სოსო გრიშიკაშვილს შეატოვა, გოლი თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ დარტყმა სუსტი გამოდგა და ბურთი მეკარეს ხელებში მიუვიდა. მე-40 წუთზე იმავ შატაკიშვილმა იმარჯვა, მარცხენა ფლანგზე რამდენიმე დინამოელს დაუსხლტა და კარის წინ მდგომ კობა ხანიშვილს უპასა, რომელსაც თავური გაუცუდდა.

მეორე ტაიმი ისევ „დინამოს" შეტევებით განახლდა. კვლავ იჩინა თავი მასპინძელთა ფიზიკურმა მოუმზადებლობამ და „დილას" კართან საფრთხემაც იმატა. 58-ე წუთზე გია მეგრელაძემ კარგად მიაწოდა თავით ლევან მელქაძეს, მაგრამ მან სუსტად დაარტყა. 65-ე წუთზე მიხეილ ბობოხიძე დარჩა პირისპირ გორელთა კართან და... ბურთი ხელებში მიაწოდა ილურიძეს.

„დინამომ" თავისი მაინც გაიტანა: 70-ე წუთზე ბობოხიძის ცხრიანში დარტყმული გორელთა მეკარემ კი მოიგერია, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა, იქვე მყოფ მელქაძეს მიუვიდა, რომელმაც კარის შორეულ ძელთან მიტოვებულ ნოზაძეს გადააწოდა და „დინამოს" კაპიტანმაც ახლოდან თავით გაიტანა — 0:1.

სამიოდ წუთში კვლავ მელქაძემ ითამაშა კარგად: თავით დაუგდო ბურთი ბობოხიძეს და მანაც ოციოდ მეტრიდან ანგარიში გაზარდა — 0:2.

ამის შემდეგ „დილა" მარცხს შეურიგდა, დინამოელებს კი კიდევ შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მასპინძელთა მცველებმა რამდენჯერმე ცარიელი კარიდანაც გამოიტანეს ბურთი.

### პრესკონფერენცია

*კახა ცხადაძე:* მძიმე გრუნტზე საკმაოდ დაძაბული თამაში გამოვიდა. პირველ ტაიმში „დილა" კარგად გამოიყურებოდა, მერე კი ფიზიკურად დავჯაბნეთ.

*ვლადიმერ ხაჩიძე:* რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა და სანამ ძალა გვეყო, სტუმრებს წინააღმდეგობა გავუწიეთ. ელემენტარული ყურადღებაა საჭირო, რათა გუნდმა უკეთ ითამაშოს. ამას უკვე მერამდენედ ვამბობ, მაგრამ ამაოდ.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე 12 ტური

თბილისი. 5 ნოემბერი. 14 საათი. მიხეილ მესხი. 100 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 3:0 ცხინვალი

| | |
|---|---|
| 1:0, 2:0 ქებაძე (43, 76), ფურთუხია (89) | |
| ლოკომოტივი: გ. ჭანტურია, მახვილაძე, გ. ონიანი, საჯაია, სეთურიძე, რამონი (ფურთუხია 74), დ. ფოფხაძე, ინომოვი, სირბილაძე, ქებაძე, კახელიშვილი. სათადარიგონი: ჩალაძე; პანოვი, ყიფიანი, თავბერიძე, ანესაშვილი. მწვრთნელი: ნოდარ აკობია | ცხინვალი: გიზო შენგელია, ეჯოშვილი, გ. ლომიძე, ქობესაშვილი, ფერსაევი, გამცემლიძე, თაყაძე, გ. ნოზაძე, დათვაძე, ბ. ჩიტაია (ზედგენიძე 81), დ. მაისურაძე, (ბაკარანძე 46). სათადარიგონი: ქესანაშვილი; ხოხობაშვილი, პოლოსოვი. მწვრთნელი: ივანე თაყაძე |
| გაფრთხილება: ეჯოშვილი (28), რამონი (41), შენგელია (78), თაყაძე (78), ონიანი (90) | |
| მსაჯები: გ. ვადაჭკორია (თბილისი); ნ. რუსიშვილი (ქუთაისი), მ. ურუშაძე (თბილისი); გ. ასკაროლლი (ქარელი) | |
| ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი | |

# რვა და რვა

## ეროვნული სტანდარტი ვაკეშიც მუშაობს

დავით თავართქილაძე

**სულ** უფრო მკაფიო ხდება განსხვავება უმაღლესი ლიგის ზედა და ქვედა რვა გუნდს შორის. პირველ ტურებში ეს კარგად არ ჩანდა, ახლა კი, შეიძლება ითქვას, ყველაფერი თავის ადგილზე დგება.

ავდრიან ამინდში „ლოკომოტივ" — „ცხინვალს" ძალიან ცოტა მაყურებელი რომ დაესწრებოდა, ისეთივე ადვილად გამოსაცნობი იყო, როგორც მატჩის შედეგი.

შიდაქართლელებს პირველად ირაკლი სირბილაძე დაემუქრა, ვისი თავურიც არაზუსტი გამოდგა. შემდეგ ლაშა ქებაძემ ორჯერ სცადა ბედი, მაგრამ „ცხინვალის" მეკარე შენგელიამ ორჯერვე ისახელა თავი. კარგი საგოლე შანსი ჰქონდა გიორგი კახელიშვილსაც, თუმც მას მიზანმა უმტყუნა.

გოლი პირველი: ქებაძემ საჯარიმო დარტყმით, ოციოდე მეტრიდან მოხდენილად გადაავლო ბურთი ცოცხალ კედელს და შენგელიაც უძლური აღმოჩნდა.

„ცხინვალზე" ვერ იტყოდით, არ იბრძვის და წაგებას შეეგუაო, მაგრამ თავს ზემოთ საჭირო ძალას ვერ პოულობდა.

მეორე ტაიმიც ლოკომოტიველთა შეტევებით დაიწყო. დაჩი ფოფხაძეს შენგელიამ ახლოდან ფეხით აუღო, შემდეგ ფოფხაძემ კარგად უპასა საგოლე პოზიციაზე მყოფ კახელიშვილს, ვისაც ბურთი ფეხებში აებლანდა.

ამასობაში „ცხინვალი" გამოცოცხლდა და ორი კარგი მომენტიც გაანიავა — ჯერ იყო და, პაატა ბაკარანძემ მოიგდო ბურთი „ლოკოს" მცველთა შეცდომის შედეგად, მაგრამ ოდნავ ააცილა მრგვალი საგანი ძელ-ხარიხის გადაკვეთას; შემდეგ ჩიტაიას შეეძლო გატანა, როცა ახლოდან თავური გაუცუდდა — ყველაფერი ეს თითქოს ცხინვალელთა ბოლო ამოსუნთქვა იყო, „ლოკომოტივი" კი ამან ძალიან გააბრაზა და კიდევ ორჯერ დაამწუხრა სტუმრები.

გოლი მეორე: სირბილაძის პასით ქებაძე მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, გასცდა მას და ცარიელ კარში გადაგზავნა ბურთი.

გოლი მესამე: ფურთუხიამ ცაციით 17-18 მეტრიდან საკმაოდ მოხდენილად გაისროლა.

საქართველოში პირველი გოლის გატანა შეეძლო უზბეკ ისლამ ინომოვს, მაგრამ ამაში „ცხინვალის" კარის ძელმა შეუშალა ხელი.



ლაშა ქებაძე

# ჩემი გიგანტი ჩემი გიგაა

## სოხუმელები გადელიას ეძებენ



გიგა გადელია

ველებს დაასწრო და მძლავრი თავურით სეხნია იაშვილს შანსი არ დაუტოვა. ბურთი ბადეში აფართხალდა და გადელიაც მინდორზე გაწვა, სახის ტრავმამ ფორვარდს გოლის გატანის სიხარული ჩაუმწარა.

...გოლს რომ გაუშვებს, იცი, მეტოქე გასათანაბრებლად აუცილებლად მოგაწვებაო — თქვა სოხუმელთა თავკაცმა გოჩა ჟორჟოლიანმა პრესკონფერენციაზე და მეორე ტაიმის დაწყებისთანავე ნათლად „გაიშიფრა" მისი ტაქტიკა: დაცვაში ჩავდგეთ და მწვავე კონტრშეტევებზე გადავიდეთ.

მასპინძლები შესვენებისას მიღებულ დავალებებს ჩინებულად ასრულებდნენ: „კახეთი" გოლის გატანას ცდილობდა, სოხუმელები კი, შეიქმნებოდა თუ არა მომენტი, გადელიას ეძებდნენ. ჰოდა, ერთ-ერთი კონტრშეტევისას გადელიამ მარცხენა ფლანგიდან დროული პასი მიაწოდა საჯარიმოში შევარდნილ მამუკა რუსიას, რომელიც მეკარესაც გასცდა და... პენალტი. იაშვილმა მოიერიშეს ხელი გამოსდო, მეშკოვმა ჩასტვინა და სტუმრებსაც არ გაუპროტესტებიათ — დარღვევა აშკარა იყო. 83-ე წუთია, ბურთთან მამუკა წერეთელი მივიდა, მეკარისგან მარჯვენა მაღალ კუთხეში დაარტყა, მაგრამ ააცილა.

მეტი რაღა უნდათ, ჩაილაპარაკა ჩემ გვერდით მჯდომმა ერთმა თელაველმა ქომაგმა, თუ გაათანაბრეს, ქულასაც წავილებთ, ამ მატჩის ლოგიკური შედეგი ფრე იქნებაო, მაგრამ სად ფეხბურთი და სად ლოგიკა... 89-ე წუთზე გიორგი ხაჩიძემ გადელიას უზუსტესი პასი შეირგო, მეკარე გიგა იაშვილი მოძრაობაზე დაიჭირა და შორეულ კუთხეში ნახევარბრუნში დარტყმულით გაუტანა — 2:0. „კახეთიც" აქ დაოკდა...

### პრესკონფერენცია

*ჯემალ მახარაშვილი:* ჩვენი საშემსრულებლო ოსტატობა გასაუმჯობესებელია, სამუშაო ბევრია. „სოხუმს" კი გულით ვულოცავ მოგებას.

*გოჩა ჟორჟოლიანი:* დაძაბული, საინტერესო თამაში მოვიგეთ და მიხარია, ჰაერივით საჭირო სამი ქულა ბრძოლაში რომ მოვიპოვეთ. კმაყოფილი ვარ, თუმც ეს თამაში უკვე ისტორიას ჩაბარდა. ახლა „ბორჯომთან" თასის თამაშისთვის უნდა მოვემზადოთ, რათა რევანში ავიღოთ, მათ ხომ ჩემპიონატში მოგვიგეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 12 | 9 | 2 | 1 | 28:9 | 29 |
| სიონი | 12 | 9 | 1 | 2 | 23:10 | 28 |
| ლოკომოტივი | 12 | 8 | 3 | 1 | 18:3 | 27 |
| დინამო | 12 | 8 | 1 | 3 | 18:6 | 25 |
| ამერი | 12 | 8 | 1 | 3 | 13:7 | 25 |
| ბორჯომი | 12 | 8 | 0 | 4 | 23:10 | 24 |
| ბათუმი | 12 | 6 | 2 | 4 | 12:9 | 20 |
| კოლხეთი | 12 | 6 | 0 | 6 | 13:13 | 18 |
| ზესტაფონი | 12 | 5 | 3 | 4 | 10:11 | 18 |
| დილა | 12 | 5 | 0 | 7 | 15:14 | 15 |
| კახეთი | 12 | 5 | 0 | 7 | 12:18 | 15 |
| ცხინვალი | 12 | 3 | 1 | 8 | 7:21 | 10 |
| სოხუმი | 12 | 3 | 1 | 8 | 11:27 | 10 |
| ტორპედო | 12 | 2 | 4 | 6 | 8:13 | 10 |
| სპარტაკი | 12 | 1 | 1 | 10 | 2:20 | 4 |
| თბილისი | 12 | 0 | 0 | 12 | 4:25 | 0 |

თბილისი. 5 ნოემბერი. 14 საათი. შევარდენი. 60 (ტევადობა 1 500)

## სოხუმი 2:0 კახეთი

| | |
|---|---|
| 1:0 გადელია (27), 2:0 ხაჩიძე (89) | |
| წერეთელმა ვერ გაიტანა პენალტი (83, ააცილა) | |
| სოხუმი: ავ. ლაბაძე, თ. უგრეხელიძე, წერეთელი, ზ. ჯელაძე, გ. ჩხაიძე (მაჩალაძე 67), რუსია, ჟვანია, გ. ხაჩიძე, ი. ჭანტურია (ეგაძე 58), შ. ჩომახიძე (ლაშა სილაგაძე 87), გადელია. სათადარიგონი: სეფიაშვილი; ჭყოიძე, მოლოდინი, შამუგია. მწვრთნელი: გოჩა ჟორჟოლიანი | კახეთი: გიგა იაშვილი, ტარულაშვილი, კობაიძე, ა. კვირკველია, გ. კეველიშვილი (იზორია 86), კუპრაშვილი (ი. სიხარულიძე 72), ბ. ბურნაძე, დ. ბურდული, სოსელია, არუდაშვილი, იმერლიშვილი (ტეტიაშვილი 72). სათადარიგონი: ძამუნაშვილი; ამირანიძე, ბიძინაშვილი. მწვრთნელი: ჯემალ მახარაშვილი |
| გაფრთხილება: რუსია (45) | |
| მსაჯები: ა. მეშკოვი; ვ. ელისაბედაშვილი (ორივე თბილისი), ხ. გაგნიძე (გორი); მ. ბეუქლიშვილი (ყვარელი) | |
| ინსპექტორი: ს. კუტივაძე; დირექტორი: პ. ბურჯალიანი | |

გიორგი ვაშაკიძე

**სოხუმის** „დინამომ" სეზონში მესამე თამაში მოიგო და სატურნირო ცხრილში მდგომარეობა შედარებით გაიუმჯობესა. გოჩა ჟორჟოლიანის შეგირდებმა დაამარცხეს გუნდი, რომელიც მწვრთნელის, ჯემალ მახარაშვილის თქმით, დამაგვირგვინებელ ფაზაში მოიკოჭლებს, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, „კახეთს" კარზე დაგეშილი მეგოლე არ ჰყავს.

თავისუფლად შეიძლებოდა, მატჩი ფრედ დამთავრებულიყო, მაგრამ სოხუმელებს გარჯას ნუ დავუკარგავთ. გუნდს სათანადო პირობები არ აქვს და ხელშეწყობაც აკლია, მაგრამ გუშინწინ გამოჩნდა, რომ ჟინს და მონდომებას ბევრი რამ შეუძლია...

გიგა გადელია თავდასხმაში და ზვიად ჯელაძე დაცვის ცენტრში... სწორედ ამ ორმა გამოჭედა სოხუმელთა მესამე სამი ქულა. ეულ ფორვარდად გამწესებულმა გადელიამ თელაველი მცველები არ მოასვენა, პირველი გოლი ხომ თავად გაიტანა სახის ტრავმის ფასად და, მეორის თანაავტორიც შეიქნა. ჯელაძემ კი სტუმრები არ გაახარა: მასპინძელთა კაპიტანი მეწყვილე მამუკა წერეთელთან ერთად აუღებელ ციხედ იქცა თელაველთათვის.

პირველი ტაიმი სანახავად უინტერესო იყო, ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა. ერთი-ორჯერ აქეთ-იქით ხიფათისმაგვარი შეიქმნა, გოლი კი 27-ე წუთზე გავიდა: გიორგი ხაჩიძემ კუთხური მოაწოდა, გიგა გადელიამ მც-



გიო ახვლედიანის სვეტი

# ცხვირი და ბუცი

სულ ორიოდ სიტყვით შეგაწუხებთ და მერე წავალ ჩემს გზაზე.

ვიქტორ სანეევის უიბილე იყო და ყველას თვალში მოხვდებოდა ამ კაცის უბრალოება და თავმდაბლობა. როცა ამდენს აქებდნენ და ასაჩუქრებდნენ, ეს არა მარტო დიდი ჩემპიონი, არამედ ცხოვრებისგან გვარიანად ნაწვალები კაცი თითქოს ადგილს ვერ პოულობდა და არ იცოდა თვალები სად წაეღო.

თითქოს კი არა ეგრე იყო.

ნამდვილი კაციც ესა ყოფილა მეთქი, ვიფიქრე და ის მაგალითად გამოადგება ჩვენს ახალგაზრდა სპორტსმენებს, რომლებიც თითისტოლას გააკეთებენ და ისე დაიბლინძებიან, ვითომ მონაკოს პრინცის სიძეები იყვნენ. სანეევის ჩემპიონობა კი არ იქნება პირველ რიგში სამაგალითო, არამედ მისი ხასიათი და თავმდაბლობა. ოღონდაც, სიმართლე რომ ვთქვა, მე ისეთი ოპტიმისტი არა ვარ, რომ ამგვარი მაგალითების ხშირი ზემოქმედებისა მჯეროდეს. ასიდან ერთი ყმაწვილკაცი თუ დაფიქრდება, უკვე კარგია.

კომუნისტების დროს რომ ლანძღავდნენ „სავეცკი სპორტში“ უცხოელ სპორტსმენებს, „ვარსკვლავური დაავადება“ შეეყარათო, იქ საქმე ისე იყო, რომ ვთქვათ, ჯორჯ ბესტი გენიოსი იყო მინდორზე, მაგრამ რახან სულ ჭაბუკმა ფული მოიგდო ხელთ, სმა და ქალებში სიარული დაიწყო და ამას სახალხო სიყვარულმა და ამ ბიჭის იერის ბიზნესმომგებიანობამაც შეუწყო ხელი.

აქ კი გენიოსი არავინ არის, მხოლოდ ორიოდეჯერ ვიღაცას მიუქცევია ყურადღება და ერთიორი უწვერული ჯეილი ისე დაიარება, რომ იმათი ცხვირი ცასა სწვდება. ჯანდაბას, ქუჩაში დაიარებოდეს, მინდორზეც ასე დაიარება.

ინგლისში ეგეთი ტრადიციაა, რომ თუ ყმაწვილს პირველ გუნდთან ვარჯიშის პატივი შეხვდება წილად, ანუ იქ ჩაირიცხება, იმას აუცილებლად უფროსი მოთამაშის ბუცებს მიაჩეჩებენ თამაშის შემდეგ. რათა? რათა და რომ ტალახისგან გაუწმინდოს, გაურეცხოს და თავის ადგილას დაუდოს. რათა? რათა და იმათა, რომ ცხვირი მაღლა არ ასწიოს. რათა? რათა და კარგად დაუკვირდეს, რა იერისაა თამაშის შემდეგ ბუცი.

თვით გასკოინი წერს თავის წიგნში, რაც მე სხვისი ბუცები მიხეხიაო.

გაზაზე მაგრები არიან?

ვერა, ვერაფრით და ვერცერთ ამბავში.

ვიქტორ სანეევზე აღარც ვამბობ რამეს.



# რევანში გადაიდო
## ბოლო სიტყვას IRB იტყვის

**გუშინ** „ლოკომოტივზე“ დიდი რაგბი უნდა გაჩაღებულიყო. საქართველოს ნაკრები ორგზის გამამწარებელ ურუგვაის ხვდებოდა და სარევანშოდ ფიცხელ ბრძოლას რომ გაუმართავდა, რაღა მტკიცება უნდა, მაგრამ... თამაში სამხრეთამერკელთა ჩამოუსვლელობის გამო ჩაიშალა.

მონტევიდეოდან გამოფრენილ ურუგვაელებს გზაში მცირე პრობლემები რომ შეექმნათ, მატჩის წინა დღეებში შევიტყვეთ, თუმც საქმის ასეთ ბოლოს მაინც არავინ ელოდა. სტუმრების ჩამოსვლის თარიღი რამდენჯერმე შეიცვალა, შაბათს კი ყველანაირი იმედი გადაიწურა.

„ურუგვაის ნაკრები მონტევიდეოდან თბილისში მადრიდის გავლით მოფრინავდა და ხუთშაბათს უნდა ჩამოსულიყო — გვითხრა რაგბის კავშირის სანაკრებო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი გვენეტაძემ — მადრიდში ჩასულებმა მოულოდნელად დაგვირეკეს და შეგვატყობინეს, რომ ესპანური ავიაკომპანია „იბერიას“ თვითმფრინავს ტექნიკური პრობლემები შეექმნა, თუმც თავადვე დაგვამშვიდეს, მაქსიმუმ ერთი დღით გვიან გველოდეთო. იმ დღიდან მოყოლებული მათთან ლამის უწყვეტი სატელეფონო კონტაქტი გვქონდა. მეორე დღეს გაირკვა, რომ პრობლემა ასე მალე ვერ მოგვარდებოდა. ამიტომ სხვა რეისით უნდა წამოსულიყვნენ და სავარაუდოდ მატჩის წინა დღეს, დილით ჩამოფრინდებოდნენ. აქ უკვე სხვა წინააღმდეგობა შეხვდათ — ბილეთები ველარ იშოვეს. სტუმრების გარდა სატელეფონო კავშირი IRB-სთანაც გვქონდა. რაგბის ხელმძღვანელები ურუგვაელებსაც ესაუბრნენ, მაგრამ თამაშის ჩაშლის გამო კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ. ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა. შაბათს ურუგვაი პორტუგალიას სტუმრობს და სავსებით შესაძლებელია, ჩვენთან იმ თამაშის შემდეგ ჩამოვიდეს“.

თუ IRB-ს შეფებმა მართლაც ასე გადაწყვიტეს, ამით ალბათ საქართველოს ნაკრებზე მეტად ურუგვაი გაიხარებს. „ბორჯღალოსნების“ ისედაც შესუსტებული შემადგენლობა კიდევ უფრო შესუსტდება. თავიდანვე ცნობილი იყო, რომ გუშინდელი შეხვედრის შემდეგ საფრანგეთის ჩემპიონატში მოთამაშე შვიდი ლეგიონერი თავის კლუბში უნდა დაბრუნებულიყო, დანარჩენები კი 12 ნოემბერს ჩილისთან მატჩის შემდეგ. რამდენიმე მოთამაშე უკვე წავიდა კიდეც.

საკადრო საკითხების უკეთ გასარკვევად ნაკრების ერთ-ერთ თავკაცს, დავით ჩავლეიშვილს შევეხმიანეთ:

— შეკრება დროებით შევწყვიტეთ. 8 ნოემბერს გავაგრძელებთ ვარჯიშებს, მაგრამ რამდენიმე ძლიერი მორაგბის გარეშე. მაგრაქველიძის, შველიძის, ზირაქაშვილის, ირაკლი გიორგაძისა და ხინჩაგაშვილის გამოკლება ადრევე გადაწყვეტილი იყო, ისევე როგორც გორგოძისა და ბესიკ უდესიანის, მაგრამ ამ ორის ჩილის ნაკრებთან შეხვედრამდე დარჩენის იმედი ჯერ კიდევ დაგვრჩა. წასულ ლეგიონერებს გაფართოებულ შემადგენლობაში მყოფი მორაგბეები შეცვლიან.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ბეის-ჯამპერები პეკინის ანძაზე



**ჩინეთის** დედაქალაქში პირველად გაიმართა ბეის-ჯამპინგში საერთაშორისო შეჯიბრება.

ბეის-ჯამპინგი პარაშუტით ნაგებობათა კწეროებიდან ხტომას ნიშნავს.

შეჯიბრებაში ათი ქვეყნის 25 სპორტსმენი მონაწილეობდა. ასპარეზობა 233 მეტრიანი ჩინეთის ცენტრალური ტელევიზიის ანძიდან ხტომაში გაიმართა.

ნახტომებს ცუდი ამინდი ართულებდა. პეკინში სქელი ნისლი იყო. 200 მეტრის სიმაღლიდან დედამიწა არ ჩანდა და სპორტსმენებს შედედებულ რძესავით სქელ ნისლში, სითეთრეში უწევდათ ხტომა.

მიუხედავად ამისა, ყველა ნახტომი წარმატებით განხორციელდა. მათ შორის ყველაზე რთული იყო ჯგუფური ნახტომი, რომელიც ექვსმა კაცმა განახორციელა. თუმცა, მაყურებლის აღტაცება ამ ექვსეულის ნახტომმა კი არა, არამედ ჩინეთში სახელგანთქმული ექსტრემალი სპორტსმენის დინ ცზიანპინის ტრიუკმა გამოიწვია. ნახტომისას პარაშუტი გაიხსნა თუ არა, მან უმალ გაშალა ჩინეთის ვეება დროშა და მაყურებელთა მხურვალე აპლოდისმენტების თანხლებით დედამიწაზე დაეშვა.

მოგვიანებით სპორტსმენმა ჟურნალისტებთან აღიარა, რომ ჩინელ-ექსტრემალებს ჯერჯერობით საამაყო არაფერი გვაქვს, დასავლელი ბეის-ჯამპერები ნახტომის ოსტატურად შესრულებაში ჩვენზე გაცილებით წინ არიანო.



## მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი

ბეერ-შევა. ისრაელი. 31 ოქტომბერი - 11 ნოემბერი

**IV ტური**

| | | |
|---|---|---|
| უკრაინა | 1,5:2,5 | რუსეთი |
| ისრაელი | 1,5:2,5 | ჩინეთი (ვაჟები) |
| აშშ | 2:2 | სომხეთი |
| საქართველო | 2:2 | ჩინეთი (ქალები) |
| ბაადურ ჯობავა | 0:1 | სიუ ჩაო |
| ცინ ჰოანი | 0,5:0,5 | ლევან ფანცულაია |
| მიხეილ მჭედლიშვილი | 1:0 | ვან იუ |
| ჩენ იანგი | 0,5:0,5 | მერაბ გაგუნაშვილი |

*კუბა დაისვენა*

**V ტური**

| | | |
|---|---|---|
| კუბა | 1,5:2,5 | ისრაელი |
| ჩინეთი (ქალები) | 0,5:3,5 | უკრაინა |
| რუსეთი | 2,5:1,5 | აშშ |
| საქართველო | 0,5:3,5 | ჩინეთი (ვაჟები) |
| ბუ სუიანჯი | 1:0 | ბაადურ ჯობავა |
| ლევან ფანცულაია | 0,5:0,5 | ჩჟან პენსიანი |
| ნი ჰუა | 1:0 | მიხეილ მჭედლიშვილი |
| მერაბ გაგუნაშვილი | 0:1 | ჩჟან ჩჟონი |

*სომხეთი დაისვენა*

# პატარა საქართველო დიდ ჩინეთს დაეჯახა



ლევან ფანცულაია

**მეოთხე** და მეხუთე ტურში ქართველები ჩინელ მოჭადრაკეებს დაუპირისპირდნენ, მაგრამ სახეიროს ვერაფერს გამორჩნენ. მეოთხე ტურში ჩვენმა ნაკრებმა ჩემპიონატის აშკარა აუტსაიდერ ჩინელ ქალებთან მხოლოდ ორი ქულის მოპოვება შეძლო, ხოლო მომდევნო მეხუთეში, ვაჟებთან, სულაც 0,5:3,5 განადგურდა და კვლავ აუტსაიდერებში ჩარჩა.

ჩინელ ვაჟებთან ნახევარი ქულა ლევან ფანცულაიამ მოიპოვა, იგი ჩჟან პენსიანს შეხვდა.

ქართველმა დებიუტში ლაზიერის გამბიტი გაითამაშა. თავიდან ჩინელი გააქტიურდა, მსუბუქი ფიგურებით წინ გამოვარდა და იერიშებს შეუდგა. ფანცულაიამ იოლად მოიგერია შეტევა, ერთი-ორი მანევრი თვითონაც განახორციელა და მე-20 სვლაზე ყაიმი გამოაცხო.

ახლა ქართველები 6,5 ქულით მეშვიდე ადგილზე არიან და დღეს მათსავით აუტსაიდერ კუბის ნაკრებს შეხვდებიან.

მეხუთე ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერი ჩინეთის ვაჟთა გუნდი გახდა. მათ 13,5 ქულა მოაგროვეს და უახლოეს მდევარ რუსეთის ნაკრებს ნახევარი ქულით უსწრებენ.

**ლაშა გეგეჭკორი**

1. ჩინეთი (ვაჟები) 13,5 ქულა
2. რუსეთი ---------- 13
3. ისრაელი ---------- 10
4. სომხეთი ---------- 9,5
5. უკრაინა ---------- 9
6. აშშ ---------- 7,5
7. საქართველო ------ 6,5
8. კუბა ---------- 6
9. ჩინეთი (ქალები) ------- 5



ფანცულაიამ პენსიანთან თამაში მე-20 სვლაზე დაასრულა


# სარბიელი სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ ამკრეფ-ოპერატორს
მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“
რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42,
II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
(ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

**WTA**
ფილადელფია. აშშ
მაგარსაფარი
საპრიზო 585 000 $

**ნახევარფინალი**

**ელენა დემენტიევა** (რუსეთი, 4) — ნადია პეტროვა (რუსეთი, 6) — პეტროვა უარი; **ამელი მორეზმო** (საფრანგეთი, 3) — ნიკოლ ვაიდისოვა (ჩეხეთი, 7) — 7:5 7:5

# ფინალში ოფლითა და ოფლის დაუღვრელად


ტომაშ ბერდიხი


AFP ბარნი ზიდან
ივან ლიუბიჩიჩი

**ფილადელფიაში** მართლაც საინტერესო ფინალი გაიმართება. აქ ერთმანეთს მესამე და მეოთხე ნომრად განთესილი ჩოგბურთელები დაუპირისპირდებიან — ფრანგი ამელი მორეზმო და რუსი ელენა დემენტიევა.

თუმც ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ტურნირზე მაინც ის იყო, რომ მეოთხედფინალში ჩეხი კვეტა პეშკის დამარცხებით ელენა დემენტიევამ რეიტინგში გადაასწრო ვინუს უილიამსს და მასტერსის თასზე იასპარეზებს, რომელიც 8 ნოემბრიდან ლოს ანჯელესში გაიმართება.

ფინალში გასვლისთვის დემენტიევას სათამაშო ფორმის ჩაცმაც კი არ მოუხდა, ვინაიდან ნახევარფინალში მისმა მეტოქემ და თანამემამულემ ნადია პეტროვამ (სხვათა შორის, ლოს ანჯელესში ისიც იასპარეზებს) უარი განაცხადა თამაშზე ტრავმის გამო.

მორეზმოს კი ფინალში გასასვლელად დიდი ოფლის ღვრა დასჭირდა. მისი მოწინააღმდეგე ხომ ბოლო დროს დიდებულ ფორმაში მყოფი 16 წლის ჩეხი ნიკოლ ვაიდისოვა იყო, რომელმაც ამ მატჩამდე 18 თამაშიანი მოგებათა სერია გამოაცხო.

თუმც ფრანგის გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა — ის წყნარად თავის სტილში თამაშობდა მაშინ, როცა ჩეხს გადამწყვეტ მომენტებში ხელი აუკანკალდა და ამიტომ ორივე სეტი მეთორმეტე გეიმში, თავისი მოწოდების დათმობის შემდეგ წააგო.

**BNP PARIBAS MASTERS**
პარიზი. საფრანგეთი
მაგარსაფარი
საპრიზო 1 870 000 €

**მეოთხედფინალი**

**ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია, 5) — ტომი რობრედო (ესპანეთი, 14) — 7:6 3:6 6:1; **ენდი როდიკი** (აშშ, 1) — დავიდ ფერერი (ესპანეთი, 10) — 2:6 6:3 7:6; **რადეკ შტეპანეკი** (ჩეხეთი, 8) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი, 4) — 6:4 7:5; **ტომაშ ბერდიხი** (ჩეხეთი) — გასტონ გაუდიო (არგენტინა, 7) — 7:5 6:0

**ნახევარფინალი**

**ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია, 5) — ენდი როდიკი (აშშ, 1) — 6:3 7:5; **ტომაშ ბერდიხი** (ჩეხეთი) — რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი, 8) — 6:1 3:6 6:3

**პარიზში** საბოლოოდ გაირკვა ყველა იმ ჩოგბურთელის ვინაობა, რომელიც სეზონის ბოლო ტურნირში — მასტერსის თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას. საფრანგეთის დედაქალაქში მიზანს რუსმა ნიკოლაი დავიდენკომ და ხორვატმა ივან ლიუბიჩიჩმა მიაღწიეს და შანხაის მატარებელს უკანასკნელი შეახტნენ.

დავიდენკომ ჩინეთში „გასეირნება" ჯერ კიდევ თანამემამულე დმიტრი ტურსუნოვის დამარცხების შემდეგ გაინაღდა, ამიტომ მეოთხედფინალში ჩეხ რადეკ შტეპანეკთან თავი აღარ შეიწუხა და წააგო კიდეც.

ისე, რუსმა მთელი წელიწადი სტაბილურ დონეზე განვლო, ყველა ტურნირში ერთ-ორ წრეს მაინც გადიოდა და მისი მასტერსის თასზე მოხვედრა კანონზომიერება იყო.

აი, ხორვატი ლიუბიჩიჩი კი ცალკე სასაუბრო თემაა. მან წლის ბოლოს დიდებულად დაიწყო თამაში და მშვენიერ ჩოგბურთსაც აჩვენებს. ასე განსაჯეთ, ბოლო 22 მატჩიდან ხორვატმა 20 მოიგო და ამ შუალედში მეცსა და ვენაში გაიმარჯვა, ორი კვირის წინ კი მადრიდის მასტერსის ფინალში გავიდა, სადაც 5-სეტიან ტრილერში წააგო ესპანელ რაფაელ ნადალთან.

ლიუბიჩიჩი უკვე ზედიზედ მეორე მასტერსის სერიის ტურნირის ფინალში გავიდა. შანხაიში მოხვედრა ჯერ კიდევ მეოთხედფინალში გაინაღდა, როცა ესპანელი ტომი რობრედო დაამარცხა, ხოლო მისმა უშუალო კონკურენტმა, არგენტინელმა გასტონ გაუდიომ კი ჩეხ ტომაშ ბერდიხთან წააგო. თუმც ხორვატი ისეთ ფორმაშია, რომ არავის დაგიდევთ და ნახევარფინალში პირველ ნომრად განთესილ ამერიკელ ენდი როდიკსაც იოლად გაუსწორდა.

ლიუბიჩიჩმა ნამდვილად დაიმსახურა მასტერსის თასზე თამაში და უნდა ითქვას, რომ იქაც ბევრ აღიარებულ ფავორიტს გაუწევს სერიოზულ წინააღმდეგობას.

პარიზში გასამართ ფინალში კი ხორვატის მეტოქე 20 წლის ჩეხი ტომაშ ბერდიხი იქნება. მან ნახევარფინალში თავისი გამოცდილი თანამემამულე — რადეკ შტეპანეკი 1 საათსა და 23 წუთში დაამარცხა და ასეთი დონის ტურნირის ფინალში გასვლა კარიერაში პირველად მოახერხა.

**ბაჩა ლომაშვილი**



## რეგულარული ჩემპიონატი

# ფინტი ფეხებშუა და გოლი მშვენება



საიმონ განიე (მარცხნივ) და მისი მეწყვილე ჯონ სიმი

4 ნოემბერი

**ბუფალო 2:3 მონრეალი**

*1:1 1:0 0:2*

1:0 ფიცპატრიკი (3), 1:1 პერეჟოგინი (10), 2:1 მაირი (21), 2:2 რაიდერი (46), 2:3 სუნდსტრიომი (58)

**„მონრეალმა"** არნახულად დაიწყო სეზონი. ბრწყინვალე წასრულის მიუხედავად, კანადურ კლუბს პირველ 7 გასვლით თამაშში 13 ქულა არასოდეს მოუგროვებია.

**ვაშინგტონი 3:2 ატლანტა**

*0:0 2:1 0:1 1:0*

**ბულიტების სერიაში**

0:1 ბონდრა (23), 1:1 მიუირი (30), 2:1 კლეპიში (31), 2:2 ჰოლიკი (53), 3:2 გადამწყვეტი ბულიტი: ოვეჩკინი

**„ის** ბრწყინვალედ თამაშობს. შეუდარებელ ილეთებს ფლობს" — შაქო მასპინძელთა თავკაცმა გლენ ჰენლონმა ალექსანდრ ოვეჩკინი. ლიგის ახალბედამ ბულიტების სერიაში ამჯერადაც არაჩვეულებრივი ფინტი შეასრულა და მეტოქეთა მეკარეს შაიბა ფეხებს შუა გაუძვრინა.

**ანაჰაიმი 0:1 სან ხოსე**

*0:0 0:0 0:0 0:1*

0:1 გოჩი (61)

**ძირითად** დროში 0:0 ამ სეზონში პირველად დაფიქსირდა.

**ვანკუვერი 5:3 კოლუმბუსი**

*0:1 3:1 2:1*

0:1 ჟერდევი (8), 1:1 ოლუნდი (26), 2:1 სალო (32), 2:2 ვიბორნი (38), 3:2 ჰ. სედინი (39), 4:2 კარტერი (43), 4:3 ჟერდევი (49), 5:3 ნესლუნდი (60)

**დალასი 9:1 ჩიკაგო**

*4:0 4:1 1:0*

1:0 ბარნსი (2), 2:0 გერინი (11), 3:0 ლეჰტინენი (14), 4:0 მოროუ (15), 5:0 არნოტი (23), 6:0 ბარნსი (24), 6:1 ჰოლმკვისტი (25), 7:1 ბარნსი (34), 8:1 არნოტი (39), 9:1 კაპანენი (58)

**„ჩიკაგოს"** უარესი სეზონიც ჰქონია, მაგრამ ასეთი სირცხვილი არ უჭამია. მხოლოდ ერთ ფაქტს მოვიყვანთ, იმ მომენტისთვის, როცა თამაშის გმირმა სტიუ ბარნსმა (3+1) მეექვსე გოლი გაიტანა, სტუმართა ანგარიშზე მხოლოდ ექვსი დარტყმა იყო.

**სენტ ლუისი 2:7 ედმონტონი**

*1:2 0:2 1:3*

0:1 სტოლი (2), 0:2 სემიონოვი (9), 1:2 სალვადორი (14), 1:3 სტოლი (22), 1:4 რ. სმიტი (34), 1:5 პიზანი (42), 1:6 რ. სმიტი (49), 2:6 სტემპნიაკი (59), 2:7 რიტა (60)

5 ნოემბერი

**ლოს ანჯელესი 3:2 ნეშვილი**

*0:2 0:0 2:0 0:0 1:0*

**ბულიტების სერიაში**

0:1 სტივენსონი (2), 0:2 ერატი (9), 1:2 კონროი (42), 2:2 კოსტოპულოსი (56), 3:2 გადამწყვეტი ბულიტი: დემიტრა

**რეინჯერსი 3:2 ნიუ ჯერსი**

*0:0 1:2 1:0 0:0 1:0*

**ბულიტების სერიაში**

0:1 ჯიონტა (22), 0:2 ჯიონტა (30), 1:2 პრუხა (37), 2:2 ბეტსი (51), 3:2 გადამწყვეტი ბულიტი: პრუხა

**ოტავა 6:0 აილენდერსი**

*2:0 1:0 3:0*

1:0 ალფრედსონი (10), 2:0 ჰიტლი (16), 3:0 ნილი (33), 4:0 ჰავლატი (44), 5:0 ალფრედსონი (49), 6:0 სმოლინსკი (54)

**დანიელ** ალფრედსონი და მარტინ ჰავლატი აღარ ხუმრობენ. ზედიზედ მესამე მატჩია, ორივეს გააქვს გოლები (შესაბამისად 7 და 6 გოლი), ხოლო შვედი უკვე ბომბარდირთა დავაშიც ლიდერობს 26 ქულით.

**ტორონტო 5:3 ტამპა**

*2:0 2:1 1:2*

1:0 ონილი (11), 2:0 ტაკერი (20), 2:1 არტიუხინი (24), 3:1 სუნდინი (34), 4:1 სტინი (38), 4:2 ბოილი (41), 4:3 ლეკავალიე (50), 5:3 კილგერი (60)

**მათს** სუნდინმა ტრავმა მოიშუშა, ამ სეზონში პირველად გამოჩნდა „ტორონტოს" რიგებში და ეს გოლითა და პასით აღნიშნა.

**ფილადელფია 4:3 ატლანტა**

*2:0 0:1 2:2*

1:0 განიე (4), 2:0 ფორსბერგი (19), 2:1 ჰოსა (33), 3:1 განიე (42), 3:2 ბონდრა (51), 4:2 განიე (56), 4:3 ობენი (57)

**სიმონ** განიემ ამ სეზონში პეტერ ფორსბერგის (1+2) დაუხმარებლად გოლი პირველად გაიტანა, თუმც დანარჩენ ორ შაიბაში შვედი მაინც მონაწილეობდა. განიეს ჰეთ თრიქი კარიერაში მეორე გახლდათ. ახლა იგი 15 შაიბით ერთპიროვნულად ლიდერობს მეგოლეთა სიაში.

**ბოსტონი 6:3 პიტსბურგი**

*3:1 2:0 1:2*

1:0 ბოინტონი (1), 2:0 შლეგრი (11), 3:0 შლეგრი (12), 3:1 რეკი (17), 4:1 ტორნტონი (28), 5:1 ბერჟერონი (30), 6:1 ბერჟერონი (48), 6:2 პირიეტა (54), 6:3 რეკი (60)

**20 წლის** პატრის ბერჟერონის პირველი გოლი არა მარტო ამ მატჩის, არამედ მთელი უქმეების მშვენებად იქცა. „ბოსტონის" ფორვარდმა შაიბა თავის კართან მიიღო, მთელი მოედანი გაიარა, გზად ორი მცველი მოატყუა და მეკარეც დაიბრიყვა.

„წარმოუდგენელია. ერთი სამის წინააღმდეგ. პატრისმა გაარღვია დაცვა და სუპერგოლი გაიტანა" — თქვა ბერჟერონის გაცილებით უფრო გამოცდილმა პარტნიორმა ჯო ტორნტონმა.

**კაროლინა 2:0 ფლორიდა**

*0:0 0:0 2:0*

1:0 ბრინდამორი (52), 2:0 ვალინი (55)

**ზედიზედ** მეშვიდე გამარჯვებით „კაროლინამ" საკლუბო რეკორდი გაიმეორა.

**მონრეალი 3:2 ბუფალო**

*1:1 1:0 1:1*

1:0 კოვალიოვი (6), 1:1 დიუმონი (20), 2:1 კოვალიოვი (28), 3:1 ზედნიკი (43), 3:2 გოსტადი (52)

**დეტროიტი 1:4 ფინიქსი**

*1:1 0:2 0:1*

1:0 ჰოლმსტრიომი (3), 1:1 ლეკლერკი (18), 1:2 მიხალეკი (29), 1:3 ჯონსონი (40), 1:4 კომრი (60)

**კოლორადო 2:3 დალასი**

*2:1 0:1 0:0 0:1*

**ბულიტების სერიაში**

1:0 ბრიუნეტი (7), 1:1 მოდანო (8), 2:1 კონოვალჩუკი (13), 2:2 მიეტინენი (38), 2:3 გადამწყვეტი ბულიტი: ზუბოვი

**კალგარი 1:0 ვანკუვერი**

*1:0 0:0 0:0*

1:0 ნილსონი (31)

**სან ხოსე 1:3 მინესოტა**

*0:0 0:1 1:2*

0:1 როლსტონი (28), 1:1 გოჩი (42), 1:2 როლსტონი (43), 1:3 როლსტონი (60)

**ცხრა** წელია, ბრაიან როლსტონს ჰეთ თრიქი არ შეესრულებინა.

**სამველ ლარიბიანი**

# ავიამშენმა პრესკონფერენციას გადაუფრინა

## თსუ-ს მეტოქე დაემალა

**წინასამატჩო** პრესკონფერენციაც სწორედ ამ ჯახს მიეძღვნა, თუმც რასაც კაფე „მსოფლიო სპორტმა“ უმასპინძლა, პრესკონფერენციას ვერაფრით დავარქმევთ

ასეთი ტიპის ღონისძიების არსი ისაა, რომ მატჩის მონაწილეთა მწვრთნელებმა ჟურნალისტებს გუნდში არსებული ვითარება გააცნონ, გუშინდელ პრესკონფერენციაზე კი მხოლოდ „თსუ-ნიკორას“ წევრები გამოცხადნენ, „ავიამშენი“ კი...

„გამოუცხადებლობის გამო „ავიამშენი“ დისკვალიფიცირებულია პრესკონფერენციიდან და მისი წარმომადგენლები დაგვიანებით რომც მოვიდნენ, საპრესკონფერენციო მაგიდასთან ვერ დასხდებიან — განცხადა კალათბურთის ფედერაციის პრესატაშე ზურაბ თალაკვაძემ — „ავიამშენი“ აუცილებლად დაისჯება ჩემპიონატის დებულებით გათვალისწინებული სანქციების შესაბამისად“.

